განმარტებითი ბარათი
„იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის „იაპონიის საზღვარგარეთთან თანამშრომლობის მოხალისეთა პროგრამის“ ფარგლებში საქართველოში მოხალისეების გაგზავნის შესახებ“ ნოტების გაცვლის გზით დადებული შეთანხმების თაობაზე

„იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის „იაპონიის საზღვარგარეთთან თანამშრომლობის მოხალისეთა პროგრამის“ ფარგლებში საქართველოში მოხალისეების გაგზავნის შესახებ“ ნოტების გაცვლის გზით დადებული შეთანხმება ინიცირებულია იაპონიის მხარის მიერ.

წარმოდგენილი შეთანხმების მიზანია საქართველოს ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების ხელშეწყობა, რომელიც განხორციელდება იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA) -ს მიერ.

იაპონური მხარე, თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოში მივლინებით გამოაგზავნის JICA-ს მოხალისეებს, რომელიც შეთანხმებული იქნება ორივე მთავრობის კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლების მიერ.

შეთანხმება ითვალისწინებს მხარეთა თანამშრომლობას საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით. შეთანხმების რატიფიკაცია - ძალაში შესვლის შემდგომ, მხარეთა შეთანხმებით მოხალისეებს შეეძლებათ საქართველოს აღმოუჩინონ დახმარება სოფლის განვითარებისა და სასოფლო მეურნეობის, განათლების, სპორტის, ახალგაზრდობის, კულტურის, საზოგადოებრივი განვითარების სფეროებში.

წინამდებარე შეთანხმების თანახმად, იაპონიის საზღვარგარეთთან თანამშრომლობის მოხალისეთა (JOCV) საქართველოში გაგზავნისას, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA) დაფარავს იაპონია-საქართველოს შორის განხორციელებულ საერთაშორისო მგზავრობის ღირებულებას. მოხალისეების საქართველოში ცხოვრების ხარჯებზე, საკუთარი მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო აღჭურვილობის, ტექნიკის, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მასალების ხელმისაწვდომობაზე ასევე იზრუნებს JICA.

საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებს გამოყოს საცხოვრებელი ადგილი მოხალისეების მოვალეობის შესრულების მიზნით, ასევე, გაათავისუფლოს ისინი გადასახადებისაგან. აღსანიშნავია, რომ იაპონური მხარის განცხადებით, რაც არაერთხელ დაადასტურეს ვერბალურად, ასევე, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მოხალისეების საცხოვრებლისთვის განკუთვნილ ხარჯები JICA-ს მიერ სრულად უზრუნველყოფილი იქნება და აღნიშნული ქართულ მხარეს ტვირთად არ დააწვება.

საქართველოს მთავრობა ასევე იღებს ვალდებულებას, გაათავისუფლოს მოხალისეები საკონსულო მოსაკრებლისგან, გადასახადებისგან, საბაჟო გადასახადებისა და ფისკალური გადასახადების ჩათვლით, აგრეთვე იმპორტის ლიცენზიის მოპოვებისა და უცხოური ვალუტის დაფარვის სერთიფიკატის მოთხოვნებისგან მათი ბარგის, პირადი ნივთების, საყოფაცხოვრებო საგნებისა და სამომხმარებლო საქონლის იმპორტთან მიმართებით; გაათავისუფლებს გადასახადებისგან, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადისა და ფისკალური ანაკრეფის ჩათვლით, ტექნიკის, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მასალების ადგილობრივ შესყიდვასთან მიმართებით; გაათავისუფლებს გადასახადებისგან, მათ შორის საშემოსავლო გადასახადისა და ფისკალური გადასახადების ჩათვლით, დაწესებული საცხოვრებელ ხარჯებთან დაკავშირებით დარიცხულ თანხებთან დაკავშირებით, რომელიც ირიცხება უცხოეთიდან; შესთავაზებს ხელსაყრელ პირობებს სამედიცინო დახმარების მისაღებად საჭირო სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფით; ნებას დართავს JOCV-ის მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი რადიოკავშირის კომპლექტების დამონტაჟებასა და გამოყენებაზე; გასცემს საიდენტიფიკაციო ბარათებს ყველა სამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, რომელიც აუცილებელია JOCV-ის მოვალეობების შესასრულებლად; ნებას დართავს საქართველოში შემოსვლაზე, გასვლასა და ყოფნაზე მივლინების მანძილზე, შესთავაზებს ხელსაყრელ პირობებს უცხოელთა რეგისტრაციისთვის მოთხოვნილ პროცედურებზე და საკონსულო მოსაკრებლებისგან გათავისუფლებაზე; შესთავაზებს ხელსაყრელ პირობებს მანქანის მართვის მოწმობის ასაღებად JOCV-ისთვის, რომელთაც ავტომობილის მართვა სჭირდებათ საკუთარი მოვალეობების შესასრულებლად და JOCV-ის მოვალეობების შესრულებისთვის და სხვა აუცილებელ ზომებს.

03.01.2020